№2565 2015 წლის 27 ნოემბერი ქ. თბილისი

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სისტემის რეფორმის ხელშემწყობი სამთავრობო კომისიის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 ნოემბრის №1981 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალ-დარღვევათა სისტემის რეფორმის ხელშემწყობი სამთავრობო კომისიის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 ნოემბრის №1981 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტისა და 29-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სისტემის რეფორმის მიზნით შეიქმნას საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სისტემის რეფორმის ხელშემწყობი სამთავრობო კომისია (შემდგომში – კომისია) შემდეგი შემადგენლობით:

შალვა თადუმაძე – საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივანი, კომისიის თავმჯდომარე;

ალექსანდრე ბარამიძე	–	საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე;
შალვა ხუციშვილი	–	საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე;
ვალერი კვარაცხელია	–	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე;
გიორგი ბაქრაძე	–	საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილე;
მაია ბითაძე	–	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მოადგილე;
ირაკლი ხმალაძე	–	საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე;
ცოტნე ყავლაშვილი	–	საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე;
ნოდარ კერესელიძე	–	საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე;
ბესიკ ლოლაძე	–	საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე;
თამარ ხულორდავა	–	საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის პირველი მოადგილე;
თენგიზ შერგელაშვილი	–	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე.“.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**